№1671 2015 წლის 31 ივლისი ქ. თბილისი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების თაობაზე

1. „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 7^4 მუხლის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, შიდა სასოფლო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით, თერჯოლის მუნიციპალიტეტი 3 (სამი) თვის ვადით გათავისუფლდეს სასარგებლო წიაღისეულის (კირქვის ღორღი) მოპოვების ლიცენზიისაგან თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემდეგ X და Y კოორდინატების საზღვრებში:

ა) სოფ. ძევრის მიმდებარე ტერიტორია - 7500 $მ^3$ კირქვა (ღორღი)

№	X	Y
1	332073	4680103
2	332080	4680127
3	332091	4680135
4	332101	4680154
5	332129	4680162
6	332140	4680127
7	332102	4680138
8	332093	4680103
S = 0,15 ჰა		
WGS 1984;		

ზ) სოფ. თავასას მიმდებარე ტერიტორია - 7500 მ^{3}კირქვა (ღორღი)

№	X	Y
1	342503	4682888
2	342573	4682812
3	342554	4682790
4	342481	4682871
S = 0,30 ჰა		
WGS 1984;		

გ) სოფ. ნავენახევის მიმდებარე ტერიტორია - 7500 მ^3 კირქვა (ღორღი)

№	X	Y
1	322657	4679297

2	322626	4679297
3	322572	4679339
4	322595	4679384
5	322685	4679390
S = 0,713ა		
WGS 1984;		

დ) სოფ. ზედა სიმონეთის მიმდებარე ტერიტორია - 3450 $მ^3$ კირქვა (ღორღი)

I უბანი		
№	X	Y
1	328713	4679720
2	328736	4679758
3	328777	4679695
4	328744	4679685
S = 0,23 ჰა		
WGS 1984.		

2. ლიცენზიისაგან გათავისუფლებული პირი - თერჯოლის მუნიციპალიტეტი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი დასკვნებით (გეოსაინფორმაციო პაკეტები) განსაზღვრული პირობების შესრულება;

ბ) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეული გამოიყენოს მხოლოდ ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნისათვის.

3. დებულების 7^4 მუხლის 2^1 პუნქტის შესაბამისად, დადგინდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების

ლიცენზიისაგან გათავისუფლებისათვის განსხვავებული გადასახდელი თანხა და ამ განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, თერჯოლის მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შემდეგი ოდენობების თანხის გადახდა:

ა) სოფ. ძევრის მიმდებარე ტერიტორია - 7500 $მ^3$ კირქვის (ღორღი) მოპოვებისთვის - 1500 (ათას ხუთასი) ლარი;

ბ) სოფ. თავასას მიმდებარე ტერიტორია - 7500 $მ^3$ კირქვის (ღორღი) მოპოვებისთვის - 1500 (ათას ხუთასი) ლარი;

გ) სოფ. ნავენახევის მიმდებარე ტერიტორია - 7500 $მ^3$ კირქვის (ღორღი) მოპოვებისთვის - 1500 (ათას ხუთასი) ლარი;

დ) სოფ. ზედა სიმონეთის მიმდებარე ტერიტორია - I უბანი - 3450 $მ^3$ კირქვის (ღორღი) მოპოვებისთვის - 690 (ექვსას ოთხმოცდაათი) ლარი.

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ ლიცენზიისაგან გათავისუფლების საფუძველზე მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მიზნობრივად გამოყენების ზედამხედველობა განახორციელოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა (შემდგომში - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი).

5. თერჯოლის მუნიციპალიტეტმა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ვადის გასვლიდან ორი კვირის განმავლობაში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში წარადგინოს ინფორმაცია მოპოვებული ბუნებრივი რესურსის ოდენობის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**